პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ახალგაზრდა სტალინელი

Ахалгазрда Сталинели — орган парткома, ректората, комитета ЛКСМ и профкома Тбилисского государственного университета имени И. В. СТАЛИНА

№ 25 (197) | გამოცემის მეოქვსე წელი | პარასკევი, 13 სექტემბერი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში

- ვიბრძოლოთ ახალი წარმატებებისათვის
- მზადება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავისათვის
- დავიცვათ სოციალისტური საერთო ცხოვრების წესები
- კაბინეტები უნდა განიტვირთოს ლექციებისაგან
- ყამირებიდან იწერებიან
- წელს ბევრი საინტერესო სამუშაო მოგველის.

ვიბრძოლოთ ახალი წარმატებებისათვის

გასული სასწავლო წელი უნივერსიტეტის ცხოვრებაში მრავალი წარმატებით აღინიშნა.

მთავარი საბრძოლო ამოცანა გასულ სასწავლო წელს იყო სტუდენტთა აკადემიური მაჩვენებლების განმტკიცება, ბრძოლა ლიბერალიზმის წინააღმდეგ სტუდენტთა ცოდნის შეფასებაში. ამ მიმართულებით წარმოებული მუშაობის შედეგად უნივერსიტეტის სტუდენტთა აბსოლუტურმა მოსწრებამ გასულ წელს წინა წლებთან შედარებით რამდენადმე დაიწია და იგი 86,3%-ს უდრის.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ციფრობრივი მაჩვენებლის დაწევა სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლის შედეგია, შეიძლება ითქვას, იგი მაინც დაბალია და უნივერსიტეტის მთელი კოლექტივის მთავარი საბრძოლო ამოცანაა, ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის ბრძოლასთან ერთად, ამაღლდეს სტუდენტთა აბსოლუტური მოსწრების დონე. ამისი მიღწევა კი შესაძლებელია სასწავლო პროცესის კიდევ უკეთ ორგანიზებით და პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა დაუღალავი შემოქმედებითი შრომით.

სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებლების მიხედვით [illegible] და შედარებით ჩამორჩენილი ფაკულტეტები (მაგ., გადიდდა აკადემიური მოსწრების პროცენტული მაჩვენებლები გეოგრაფია-გეოლოგიის, ფილოლოგიის, იურიდიულსა და ზოგ სხვა ფაკულტეტებზე; შედარებით დაბალია ეს მაჩვენებლები მექანიკა-მათემატიკისა და ფიზიკის ფაკულტეტებზე). თუ ფაკულტეტების წარმატებას სწავლების ხარისხის განმტკიცებისათვის ბრძოლის თვალსაზრისით განვიხილავთ, მაშინ ფაკულტეტებს შორის ადგილების განაწილება შეიძლება რამდენადმე შეიცვალოს. საბოლოო ანგარიშით მეტ საშიშროებას წარმოადგენს სტუდენტთა ცოდნის შეფასებაში დამკვიდრებული ლიბერალიზმი, ვიდრე მკაცრი იბიექტურობის პირობებში ჩატარებული გამოცდების შედეგად მიღებული შედარებით დაბალი მაჩვენებლები.

ჩვენი კოლექტივის უმთავრესი საბრძოლო ამოცანა იყო და კვლავ რჩება ბრძოლა აკადემიური მაჩვენებლების ხარისხის განმტკიცებისათვის. ყოველი დადებითი ნიშანი, დამაკმაყოფილებელი იქნება იგი, კარგი თუ ფრიადი, აბსოლუტურად უნდა შეესაბამებოდეს სტუდენტის რეალურ ცოდნას. ამ ცოდნის განმტკიცება მოგვცემს საშუალებას მივცეთ სახელმწიფოს მომზადებული, საიმედო კადრები.

აკადემიური წარმატების ხარისხისათვის ბრძოლის თვალსაზრისით კიდევ უფრო სერიოზული მუშაობის ჩატარება მოგვეთხოვება ეკონომიური ფაკულტეტის დაუსწრებელი და იურიდიული ფაკულტეტის საღამოს დასწრებული სწავლების განყოფილებებზე. ის მრავალრიცხოვანი კონტინგენტი, რომელიც ეკონომიური ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე სწავლობს, ჩვენი რესპუბლიკის კადრების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს, ამიტომ აქ სწავლების ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის ბრძოლა ჩვენი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა.

უნივერსიტეტის ცხოვრების მეორე მეტად მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესება. უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო პროდუქცია თანდათან იზრდება. გასულ სასწავლო წელს ჩვენი უნივერსიტეტის მეცნიერებმა მრავალი სახელმძღვანელო, მონოგრაფია, გამოკვლევა და სხვა ხასიათის შრომები შექმნეს. ამ შრომების ნაწილი უკვე გამოქვეყნდა, ზოგიც ბეჭდვის პროცესშია. მომავალ სასწავლო წელს ჩვენი ახალგაზრდობა ბევრ ახალ სახელმძღვანელოს და დამხმარე სახელმძღვანელოს მიიღებს.

წინასწარმა შემოწმებამ ცხადყო, რომ ჩვენი პროფესორ-მასწავლებლების მიერ მიმდინარე წელს აღებულ სამეცნიერო-კვლევით თემებზე მუშაობა ნორმალურად მიმდინარეობს. ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ დარჩენილი დრო მაქსიმალურად გამოვიყენოთ, რათა ახალი წარმატებები მოვიპოვოთ ამ დარგში.

განსაკუთრებული ღონისძიებები ტარდება ჩვენს უნივერსიტეტში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავთან შესახვედრად. ამ თარიღთან დაკავშირებით უნდა შევძლოთ იმის ჩვენება, რომ ჩვენი უნივერსიტეტი საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის მზრუნველობით გადაიქცა ერთ-ერთ მსხვილ სამეცნიერო ცენტრად, რომლის კოლექტივი დაუზოგავად შრომობს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

უნივერსიტეტის ყოველი მასწავლებელი — მთელი კოლექტივი, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები, პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით მოვალენი არიან დაუღალავად იბრძოლონ იმისათვის, რომ ჩვენი უნივერსიტეტის ყოველი სტუდენტი, მეცნიერების საფუძვლების დაუფლებასთან ერთად, ღრმად იცნობდეს მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიას, იყოს ნამდვილი ლენინელი, კომუნისტური საზოგადოების მომავალი საიმედო მშენებელი.

საჭიროა ჩვენს ახალგაზრდობაში კიდევ უფრო განვამტკიცოთ შრომისმოყვარეობა და მაღალი შეგნებული დისციპლინა. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაიჭრას ლექცია-პრაქტიკუმებზე სტუდენტთა დასწრების საკითხი, რაც წლების განმავლობაში მოუგვარებელი იყო ჩვენს უნივერსიტეტში. სტუდენტი, რომელიც სამეცადინო საათებს აცდენს და უქმად ფლანგავს დროს, უნივერსიტეტში ყოფნის ღირსი არ არის. ამ მნიშვნელოვანი ამოცანის გადაჭრაში უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა მონაწილეობა უფრო საქმიანი უნდა გახდეს. უპირველეს ყოვლისა, თვითონ მასწავლებელი უნდა ზრუნავდეს იმისათვის, რომ მის ლექციებს თუ პრაქტიკულ სემინარულ მეცადინეობებს ესწრებოდეს ყველა სტუდენტი.

წელს ჩვენი უნივერსიტეტის I კურსზე 900-ზე მეტი ახალგაზრდა ჩაირიცხა. ისინი პირველად შევიდნენ აუდიტორიებში და უსმენენ ჩვენი სახელოვანი მეცნიერების ლექციებს. ეს მნიშვნელოვანი მოვლენაა მათ ცხოვრებაში. ისინი პირველ შთაბეჭდილებებს იღებენ ჩვენი სახელმოხვეჭილი უნივერსიტეტის კედლებში. საჭიროა ამ ახალგაზრდობასთან რაც შეიძლება ახლოს მისვლა, მათი სულიერ სამყაროში ჩახედვა. აუცილებელია ყველაფერი მოეწყოს ისე, რომ ახალმოსულმა ახალგაზრდობამ ეს პირველი წელი ძალიან შედეგების მომცემი შრომით აღნიშნოს.

1917 | მზადება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავისათვის | 1957

პოლიტიკური ეკონომიის კათედრაზე

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელოვანი 40 წლისთავის შესახვედრად ფართო მუშაობას ეწევა პოლიტიკური ეკონომიის კათედრა.

უნივერსიტეტის საიუბილეო „შრომებში" დასაბეჭდად ნაშრომები დაწერეს კათედრის წევრებმა: ი. კუდუამ, შ. მელაძემ, ი. გურგენიძემ, გ. ჭანტურიძემ, გ. მანჯგალაძემ, გ. ჩიჩუამ და ლ. ხარაზმა. აღნიშნული შრომები, რომლებიც რეცენზირებულ იქნა კათედრის სხდომებზე, უკვე გადაეცა უნივერსიტეტის გამომცემლობას გამოსაქვეყნებლად. პოლიტიკური ეკონომიის კათედრის წევრის გ. ჭანტურიძის თანაავტორობით (დაგეგმვისა და აღრიცხვის კათედრის გამგის დოც. ნ. დევდარიძესთან ერთად) დაიწერა ნარკვევი უნივერსიტეტში ეკონომიურ მეცნიერებათა მდგომარეობის შესახებ, რომელიც დაიბეჭდება უნივერსიტეტის კრებულში. ამასთან, კათედრის წევრები ამზადებენ სტატიებს რესპუბლიკის გაზეთებსა და ჟურნალებში გამოსაქვეყნებლად.

კათედრას განზრახული აქვს ჩაატაროს თეორიული კონფერენცია მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავისადმი შემდეგ თემაზე: „ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და კაპიტალიზმის საერთო კრიზისი" (მომხსენებელი დოც. თ. ლობჟანიძე). აღნიშნულ თარიღს მიეძღვნება აგრეთვე კათედრის საჯარო სხდომა, მოხსენებას თემაზე „საქართველოს სსრ მიღწევები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავზე" გააკეთებს პროფ. ნ. ტყეშელაშვილი.

ეკონომიური ფაკულტეტის სამეცნიერო სესიაზე მოხსენებებით გამოვლენ პოლიტიკური ეკონომიის კათედრის პროფესორები ს. ბერაძე და ნ. ტყეშელაშვილი.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავისადმი მიძღვნილ საუნივერსიტეტო სამეცნიერო სესიაზე მოხსენებას წაიკითხავენ: პროფესორი ს. ბერაძე და დოც. ს. ინწკირველი.

უნივერსიტეტის მიერ მოწყობილ გამსვლელ სესიაზე გურჯაანის რაიონში მოხსენებით გამოვა კათედრის დოცენტი ს. ინწკირველი.

კათედრამ შეარჩია პოლიტიკური ეკონომიის სტუდენტთა სამეცნიერო წრეში წასაკითხი თემა ოქტომბრის რევოლუციის 40 წლისთავთან დაკავშირებით და მომხსენებელ სტუდენტს მიამაგრა კონსულტანტი.

გათვალისწინებულია პოლიტიკური ეკონომიის კაბინეტში მოეწყოს აღნიშნული ისტორიული თარიღისადმი მიძღვნილი გამოფენა, მოეწყობა აგრეთვე ექსკურსიები.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავთან დაკავშირებით კათედრის წევრები გამოვლენ ლექცია-მოხსენებებით.

ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრებზე

უნივერსიტეტის ყველა კათედრაზე მიმდინარეობს მზადება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავისადმი.

ამ მხრივ ძველი და ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრებს საკმაოდ მნიშვნელოვანი ღონისძიებების ჩატარება გეგმავენ.

უნივერსიტეტის „შრომების" საიუბილეო ტომში მოთავსებული იქნება დოცენტების პ. კეკელიძისა და ლ. მენაბდის ნარკვევი — „ლიტერატურათმცოდნეობის მიღწევები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავზე". უნივერსიტეტის საიუბილეო სამეცნიერო სესიაზე დოც. ბ. ჟღენტი წაიკითხავს მოხსენებას — „ქართული საბჭოთა ლიტერატურა დიდი ოქტომბრის „სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავზე".

ფილოლოგიის ფაკულტეტის საიუბილეო სამეცნიერო სესიაზე განზრახულია შემდეგი მოხსენების მოსმენა: „ქართული საბჭოთა პროზა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავზე" (დოც. ს. ჭილაია), „ქართული საბჭოთა პოეზია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავზე (დოც. ბ. ჟღენტი), „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის თემა ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში" (დოც. გ. ციხარიძე), „სოციალისტური რეალიზმის განვითარება და განმტკიცება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლის მანძილზე".

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავს მიეძღვნება აგრეთვე კათედრის საჯარო სხდომა, რომელზედაც წაკითხულ იქნება მოხსენებები: „საბჭოთა ლიტერატურა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავზე" (დოც. ს. ჭილაია) და „ქართული ლიტერატურათმცოდნეობის მიღწევები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავზე" (დოც. ლ. მენაბდე და დოც. პ. კეკელიძე).

გარდა ამისა, კათედრის ინიციატივით მოეწყობა საინტერესო ექსკურსიები — ვ. ი. ლენინის მუზეუმის საქართველოს ფილიალში, ხელოვნების მუზეუმში და სხვა ღირსშესანიშნავ ადგილებში.

საიუბილეო კრებული

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ენერგიულად ემზადება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავის შესახვედრად. უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაწილმა გამოსაცემად გადასცა საიუბილეო კრებული, რომელშიაც მოთავსებული იქნება უნივერსიტეტის თვითეული ფაკულტეტის მუშაობის ისტორიული მიმოხილვა, ფაკულტეტის მუშაობა და მიღწევები დღიდან მისი არსებობისა დღემდე.

კრებულს ქართულსა და რუსულ ენებზე დართული ექნება სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაცული დისერტაციების სია (1920 — 1957 წწ.).

კრებულში ცალკე ფურცლებად ჩაკრული იქნება გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა სურათები, აგრეთვე უნივერსიტეტის ცალკეული კაბინეტებისა და ლაბორატორიების ფოტოსურათები.

საიუბილეო კრებულის გასაფორმებლად მოწვეულნი არიან ცნობილი ქართველი მხატვრები დავით და ლადო კუთათელაძეები.

საიუბილეო კრებულის საერთო მოცულობა 25 ნაბეჭდი თაბახი იქნება.

კაბინეტები უნდა განიტვირთოს ლექციებისაგან

უნივერსიტეტში ბევრი უაღრესად კეთილმოწყობილი კაბინეტია. წლების განმავლობაში ხდებოდა აქ ბიბლიოთეკების შევსება ლიტერატურითა და კაბინეტის გამდიდრება საჭირო ინვენტარით. ზოგ კაბინეტში რამდენიმე კათედრას უხდება მუშაობა. გასულ წლებში არაერთხელ უთქვამს გამოთქმული საყვედური, რომ კაბინეტებისათვის გამოყოფილი მეორე ზოლის ოთახები საშუალებას არ იძლევა იმისათვის, რომ ნორმალურად იმუშაონ შიგ სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა.

ამჟამად მდგომარეობა გაცილებით გართულებულია. უნივერსიტეტში ერთცვლიან მუშაობაზე გადასვლასთან დაკავშირებით აუცილებელი გახდა ლექციებისა და პრაქტიკულ-სემინარული მეცადინეობის ჩასატარებლად კაბინეტების გამოყენება, კაბინეტების გადაქცევა აუდიტორიებად!

უნივერსიტეტის 21 კაბინეტიდან ორშაბათს 9 საათიდან 11 საათამდე დაკავებულია 12 კაბინეტი, 11-დან 1-მდე—10 კაბინეტი, 1-დან 3-მდე — 8 კაბინეტი; სამშაბათს 11 საათიდან 3 საათამდე 17 კაბინეტია დატვირთული; ოთხშაბათს ამავე საათებში 21 კაბინეტში მიმდინარეობს ლექცია-სემინარები; ხუთშაბათს 11-დან 1 საათამდე 19 კაბინეტია დაკავებული, 1-დან 3-მდე კი — 15; პარასკევს 9 საათიდან 3-მდე თითქმის ყველა კაბინეტი დაკავებულია, არც შაბათსაა უკეთესი მდგომარეობა. კაბინეტების უფრო დატვირთულია 11-დან 3 საათამდე. ზოგიერთი კაბინეტი დილის 9 საათიდანაა დაკავებული და ზოგან 3 საათიდან 6-მდეც მიმდინარეობს ლექცია.

ეკონომიურ ფაკულტეტებზე კათედრების განკარგულებაში 7 კაბინეტია. ორშაბათს სხვადასხვა საათებში დაკავებულია 5 კაბინეტი. ასეთივე მდგომარეობაა სამშაბათს და ოთხშაბათს, ხუთშაბათს თითქმის ყველა კაბინეტი დაკავებულია, აგრეთვე პარასკევსა და შაბათს. უკეთესი მდგომარეობა არც სხვა ფაკულტეტებზეა. აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტს ორი კაბინეტი აქვს. მთელი კვირის განმავლობაში თითქმის ორივე კაბინეტში 9-დან 3 საათამდე მიმდინარეობს ლექციები. ასეთივე მდგომარეობაა ფილოლოგიის, ისტორიის, იურიდიული, დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტების კაბინეტებში.

პარასკევს უნივერსიტეტის თითქმის ვერცერთ კაბინეტში ვერ აბარებენ სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები სამუშაოდ შესვლას, რადგანაც 9 საათიდან 3-მდე კაბინეტებში ლექციები მიმდინარეობს, ხოლო სამი საათიდან უნივერსიტეტში მრავალი მასობრივი ღონისძიება ტარდება და ყველანი ამ საქმიანობით არიან დაკავებული. უკეთესი მდგომარეობა არც შაბათსაა.

ყოველ კაბინეტს 2-3 ლაბორანტი უწევს მომსახურებას. ლაბორანტებს უამრავი სამუშაოს შესრულება უხდებათ. ისინი იღებენ დატვირთვას კათედრებისაგან, ფაკულტეტის ხელმძღვანელებისაგან, ბევრი მათგანი ჩაბმულია კათედრის სამეცნიერო მუშაობაში. ყველა ეს სამუშაო მათ სამსახურის საათებში უნდა შეასრულონ. მაგრამ ამ დროს კაბინეტში ლექცია მიმდინარეობს და ზედმეტი ხმაურისთვის გამო იქ ლაბორანტისათვის ადგილი არ არის, ამიტომ ის იძულებულია დერეფანში დაელოდოს ლექციის დამთავრებას.

ჩვენ გადაჭრით ვიბრძვით იმისათვის, რომ უნივერსიტეტში გაუმჯობესდეს სასწავლო პროცესი. უნივერსიტეტის ერთცვლიან მუშაობაზე გადაყვანაც ამას ისახავს მიზნად, მაგრამ როგორ მივაღწევთ ჩვენს ძირითად მიზანს, თუ კი უნივერსიტეტის 21 კაბინეტი გამოეთიშება სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების მომსახურებას?

კაბინეტებში სისტემატურად ისხდნენ სტუდენტები და მეცადინეობდნენ, აქ უტარდებოდათ მათ კონსულტაციები, აქ ხვდებოდნენ ისინი პროფესორ-მასწავლებლებს და იღებდნენ საჭირო მითითებებს, აქ სარგებლობდნენ ისინი იმ საჭირო ლიტერატურით, რასაც სხვაგან ვერ შოულობდნენ. ახლა კი სტუდენტები თითქმის მოკლებული არიან ყველა ამ საშუალებას. დილით კაბინეტები დაკავებულია, სტუდენტებს ლექცია უმთავრდებათ 5 ან 7 საათზე; ლექციიდან სტუდენტი პირდაპირ კაბინეტში ვერ შევა სამეცადინოდ, რადგან მას დასვენება და სადილი სჭირდება. 8 საათზე კი კაბინეტი დაკეტილია. როდის შევიდეს სტუდენტი კაბინეტში სამეცადინოდ? სად შეხვდეს იგი კონსულტაციისათვის საგნის ხელმძღვანელს?

აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ კაბინეტებში არავითარი პირობა არ არის იმისათვის, რომ ლექციები და პრაქტიკულ-სემინარული მეცადინეობა ნორმალურად მიმდინარეობდეს. მეტისმეტი სიმჭიდროვე და უქონლობა მერხებისა უაღრესად ართულებს აქ ჯერ ჯგუფის მოთავსებას და შემდეგ ლექციის კითხვას.

წლების განმავლობაში შექმნილი კაბინეტები აუდიტორიებად ვაქციეთ და ამ დანიშნულებას კი ისინი ნაწილობრივ ცუდად ასრულებენ. ვფიქრობთ, სასწავლო პროცესის გაუმჯობესება ამგვარად არ მოხერხდება.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ გადამწყვეტი ზომები უნდა მიიღოს ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ყველაფერი რიგზე იყო. საათის ისრები უკვე ცხრას უჩვენებდა. დარბაზში მხოლოდ ბიბლიოთეკრები — ტარაფინა შუბლაძე და მარიამ სირაძე ისხდნენ და კარებისკენ მოუთმენლად იყურებოდნენ.

— ვინ მოვა პირველი?

— მართლაც, პირველად ვინ შემოაღებს კარებს?

საათის ისარი მძიმედ მიიწევდა წინ. შვიდი... ხუთი... სამი წუთი. დარბაზში კი ისევ თავისუფალი სკამები და მაგიდებია, სტუდბილეთების ჩასაწყობი პატარა უჯრებიანი ყუთიც ცარიელია.

შეიძლება ორივენ მოვიდეს, ალბათ ჯერ ერთმანეთს ნახულობენ, ან ლექციაზე შევიდნენ. — თქვა მარიამმა.

— შეიძლება, — კვერი დაუკრა მისმა კოლეგამ.

ამ დროს კარმა წყნარად გაიჭრიალა და სამკითხველოში სტუდენტი შევიდა. სახეზე ისეთი ღიმილი დასთამაშებდა, გეგონებოდათ ათი წლის უნახავ მშობელ დედას ხვდებოდაო.

— გამარჯობათ, როგორ ბრძანდებით, — მოკრძალებით იკითხა მოსულმა.

— გამარჯობა, სერგო, როგორ ხარ, ბიჭო, — ერთად ჰკითხეს ბიბლიოთეკრებმა.

გულითადმა საუბარმა კარგა ხანს გასტანა, რამდენი რამ ჰქონდათ სათქმელი! სერგომ გატარებული ზაფხულის ამბებს მოჰყვა და მერე დაუმატა:

— ახლა უკვე სადიპლომო შრომაზე ვიწყებ მუშაობას. დღეიდან თქვენი მუდმივი სტუმარი ვარ.

— კეთილი.

მაშინვე მოუძებნეს საჭირო წიგნები. სერგომ ამოირჩია მაგიდა, დაჯდა და წიგნი გადაშალა. ასე დაიწყო მისთვის მეხუთე კურსი, ლამაზი, სტუდენტური ცხოვრების უკანასკნელი წელი.

ამ დროს ბიბლიოთეკრები თავიანთთვის ლაპარაკობდნენ ხმადაბლა:

— რა მალე გაირბინა წლებმა, გახსოვს, სერგო კილაძე პირველ კურსზე რომ შემოვიდა, თითქოს გუშინ იყო ერთი წელიც და კაცი ეკონომისტი იქნება!

— თითქოს თანაც მენანება, როცა ამთავრებენ და მიდიან, საკუთარ შვილებსავით ვუყურებ. თენგიზ გორელიშვილმა დაამთავრა უნივერსიტეტი, მალე რატიანმაც, ვალოდია კენკიაშვილმაც; ალბათ შემოგვივლიან.

სამკითხველოში თანდათან შემოდიან სტუდენტები. უფროსკურსელები — უფრო თამამად, პირველკურსელები კი ცოტათი მორცხვობენ. მაგრამ არა უშავს, მალე ისე იგრძნობენ თავს, როგორც საკუთარ სახლში. აგერ მორიდებულად მოვიდნენ პირველ კურსზე ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები — რევაზ სირაძე, ვლადიმერ კურასკუა, მედეა ცქიტიშვილი, მაგრამ, აბა, ახლა ნახეთ, კარგი სწავლითა და ყოფაქცევით ყველას შეაყვარებს თავს და წელსაც ერთ-ერთი პირველნი შემოვიდნენ სამკითხველოში. კვლავ ხუთიანებით უნდა დაამშვენონ მატრიკული, ამისთვის კითხვაა საჭირო.

ალბათ თავისი ფაკულტეტის უფროსკურსელებს მიბაძავენ პირველკურსელი ფილოლოგები ნელი ცომაია და კეკერი მეხრიშვილი. ისინი პირველსავე დღეს ჩაუსხდნენ წიგნებს და ალბათ არც შემდეგში ულალატებენ ამ საქმეს.

უნივერსიტეტის სტუდენტთა სამკითხველო დარბაზი მკითხველებით გაივსო. ზოგი სახელმძღვანელოებს ჩაჰკირკიტებს, ზოგიც ახალ ჟურნალ-გაზეთებს კითხულობს, ზოგიც კატალოგში მისთვის საჭირო წიგნებს არჩევს.

დაიწყო მჩქეფარე სტუდენტური წელი. სამკითხველოში წიგნებს შეერკინენ ცოდნას მოწყურებული ახალგაზრდები.

ვ. გოგოლაშვილი

დავიცვათ სოციალისტური საერთო ცხოვრების წესები

ჩვენი სამშობლოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე, როდესაც განუხრელად ხორციელდება სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლა, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის საგანს შეადგენს საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების შემდგომი განმტკიცება და განვითარება.

საბჭოთა სახელმწიფოს, მთელი საბჭოთა ხალხის წინაშე მდგარი გრანდიოზული ამოცანების გადაწყვეტა, საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლება, მათი დიდი უფლებების სრულყოფილად უზრუნველყოფა და გამოყენება შეიძლება წარმატებით განხორციელდეს თუ თითოეული საბჭოთა მოქალაქე, სოციალისტური საზოგადოების ყოველი წევრი კეთილსინდისიერად და პატიოსნად შეასრულებს მის მოვალეობებს სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე. სწორედ ასეთ უმნიშვნელოვანეს მოვალეობას შეადგენს მოქალაქეთა მხრივ იმ ქცევის წესების და ნორმების დაცვა-შესრულება, რომლებიც არეგულირებენ სოციალისტური საზოგადოების წევრთა ურთიერთობას და რომლებსაც სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს უწოდებენ.

სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებში ფართო გაგებით იგულისხმება სოციალისტურ საზოგადოებაში მოქმედი ყველა ნორმა, რომლებიც შეესაბამებიან და გამოხატავენ საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ მოწინავე შეხედულებებს. ამ ქცევის წესების ანუ ნორმების ერთ ნაწილს შეადგენს სამართლის ნორმები, რომლებსაც იურიდიული ძალა აქვთ და რომელთა შესრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფოებრივი იძულებით.

სამართლებრივი ნორმების გამოხატულების ფორმას წარმოადგენს სხვადასხვა იურიდიული აქტები: სსრ კავშირის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციები, აგრეთვე კონსტიტუციის საფუძველზე გამოცემული ყველა კანონი და სხვა სახის ნორმატიული აქტები, რომლებშიც გამოხატულია საბჭოთა ხალხის ნება-სურვილი და რომლებიც მიმართული არიან საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების განმტკიცებისაკენ. ამიტომ არის, რომ საბჭოთა კონსტიტუცია თითოეული მოქალაქის უპირველეს მოვალეობად აცხადებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის დაცვას, სოციალისტური სახელმწიფოს კანონების შესრულებას.

ამავე დროს, სოციალისტური საზოგადოების წევრთა შორის მყარდება ისეთი ურთიერთობანიც, რომლებიც არ წარმოადგენენ სამართლებრივი ნორმების რეგულირების ობიექტს, ხოლო ამ ურთიერთობათა შესაბამისი ქცევის წესების შესრულების უზრუნველყოფა ხდება არა სახელმწიფოს იძულებითი ძალით, არამედ საზოგადოებრივი აზრის ზემოქმედების შედეგად. სწორედ ასეთი ქცევის წესები შეადგენენ სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს ვიწრო გაგებით, რომლებიც იურიდიულ ნორმებში კი არ არიან განმტკიცებული, არამედ უშუალოდ სოციალისტური ზნეობის ნორმებს ემყარებიან. ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, თითქოს სოციალისტური სამართლის პრინციპები ეწინააღმდეგება კომუნისტურ მორალს, ზნეობას. მაგრამ როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებზე ვიწრო გაგებით, — ვგულისხმობთ ისეთ ზნეობრივ მოთხოვნებს, რომლებიც არ წარმოადგენენ სამართლის რეგულირების საგანს და უშუალოდ საზოგადოებრივი აზრის ზემოქმედებით ყალიბდებიან და სრულდებიან. ამდენად, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესები სოციალისტური ზნეობის ნორმების გამოხატულებას, მათს ლეგალიზაციას და კონკრეტიზაციას წარმოადგენენ. ეს არის ახალი სოციალისტური ზნე-ჩვეულებანი, რომლებიც მუშათა კლასისა და მისი კომუნისტური პარტიის მოწინავე მსოფლმხედველობას ემყარება, კომუნისტური მორალის კეთილშობილურ პრინციპებს გამოხატავს და მტკიცედ იკიდებს ფეხს საბჭოთა ადამიანების ყოფაცხოვრებაში. სწორედ ამ სახის ქცევის წესებზე ლაპარაკობს სსრ კავშირის კონსტიტუციის 130-ე მუხლი, რომელიც თითოეული საბჭოთა მოქალაქის ვალდებულად, კანონების ზუსტად შესრულების გარდა, აცხადებს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებისადმი პატივისცემით მოპყრობას.

სოციალისტური საერთო ცხოვრების წესები გულისხმობენ მშრომელთა პატიოსან, შეგნებულ დამოკიდებულებას საზოგადოებრივი მოვალეობისადმი; საერთო, საზოგადოებრივი ინტერესების პირად ინტერესებზე მაღლა დაყენებას. ჩვენი ქვეყნის ყველა სოციალური ფენა — მუშები, გლეხები, ინტელიგენცია მჭიდრო მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის ვითარებაში საერთო იდეალისათვის — კომუნიზმისათვის იბრძვიან, კომუნისტური მშენებლობის წარმატებები განსაზღვრავენ ყოველი ადამიანის მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას; საზოგადოების ინტერესები ობიექტურად იქცევიან მისი ყველა წევრის საერთო ინტერესებად, ხოლო პიროვნების მთავარი უმაღლესი ინტერესი სოციალიზმის დროს მდგომარეობს სახალხო მეურნეობის განუხრელ აღმავლობაში, საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების შემდგომ განმტკიცებასა და განვითარებაში.

კომუნისტური ყოფაქცევის ნორმებისა და, მაშასადამე, სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმების შესრულება ნიშნავს აგრეთვე პირდაპირობასა და სიმართლეს სახელმწიფოს წინაშე, ხალხის წინაშე, პარტიისა და ყოველი მოქალაქის წინაშე. საბჭოთა ადამიანი, პატრიოტი გულწრფელი და მართალი უნდა იყოს როგორც პირად ცხოვრებაში, ისე პარტიისა და სახელმწიფოს წინაშე მისი მოვალეობის შესრულებისას. ყოველი საბჭოთა პატრიოტის მოვალეობას ხალხისა და სახელმწიფოს წინაშე, მისი მოქალაქეობრივი და მორალური სახისათვის დამახასიათებელ ნიშანს შეადგენს პოლიტიკური სიფხიზლის გრძნობა, შეურიგებლობა ყოველგვარი მტრული გამოხდომების წინააღმდეგ. ჩვენი ქვეყნის თითოეული პატიოსანი მშრომელი ყველა უბანზე და ყოველგვარ ვითარებაში უნდა ხასიათდებოდეს უდრეკელობისა და თვითდამშვიდებისადმი შეურიგებლობით.

სოციალისტური სახელმწიფოს მშრომელთა უდიდესი უმრავლესობა თავდადებულად და პატიოსნად ასრულებს თავის მოვალეობას სამშობლოს წინაშე, განუხრელად იცავს საბჭოთა კანონებს და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს. მაგრამ იმის გამო, რომ ჩვენს საზოგადოებაში ჯერ კიდევ არსებობენ კაპიტალიზმის გადმონაშთები ადამიანთა შეგნებაში, მოქალაქეთა ერთი ნაწილი ზოგჯერ არღვევს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს. სწორედ ადამიანთა შეგნებაში ძველი წყობილებისა და ძველი ზნე-ჩვეულებების გადმონაშთების არსებობით უნდა აიხსნას სოციალისტური ეპოქისათვის ისეთი შეუფერებელი ქცევები, როგორიცაა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა, ლოთობა, უზრდელობა, ქალისა და მოხუცებისადმი უპატივისცემო დამოკიდებულება და ა. შ.

სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების განმტკიცებასა და განვითარებაში, მთელი საბჭოთა ხალხის კომუნისტურ აღზრდაში განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მშრომელთა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, პროფკავშირები, კომკავშირი, ნებაყოფლობითი საზოგადოებები და სხვ. რომელთა მუშაობას ხელმძღვანელობს და წარმართავს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით შეიარაღებული კომუნისტური პარტია. მათი საქმიანობა მიმართულია იქითკენ, რომ აღმოიფხვრას ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთები და დანერგილ იქნას საზოგადოებაში კომუნისტური მორალის პრინციპების შესაბამისი საერთო ცხოვრების წესები. გასაგებია, რომ თუ სოციალისტური საერთო ცხოვრების წესის დარღვევა სისხლის სამართლის დანაშაულს წარმოადგენს, მისი ჩამდენი პირი სასამართლოს წესით დაისჯება. მაგრამ სხვა შემთხვევებში, როდესაც ეს დარღვევა კანონით გათვალისწინებულ ბოროტმოქმედებას არ წარმოადგენს, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დამრღვევის მიმართ გარკვეულ ზომებს იღებენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ამგვარი საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომებად უნდა ჩაითვალოს, მაგალითად, დასაგმობი საქციელის ჩამდენი პირის გაკრიტიკება კრებაზე ან ბეჭდვითს ორგანოში, საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ მის მიმართ საყვედურის გამოცხადება ან ამ ორგანიზაციიდან გარიცხვა და ა. შ. ზოგჯერ ეს დაგმობა რაიმე ოფიციალურ ფორმასაც არ იღებს, მაგრამ ასეთი პირის მიმართ იქმნება გარკვეული, უარყოფითი საზოგადოებრივი აზრი, საყოველთაო უპატივცემულობის ატმოსფერო, რამაც არ შეიძლება თავისი გავლენა არ მოახდინოს როგორც საერთო ცხოვრების წესების დამრღვევ პირზე, ისე სხვა, გარშემო მყოფ ადამიანებზეც.

ამრიგად, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დაცვა თითოეული საბჭოთა მოქალაქის მოვალეობას წარმოადგენს. ცნობილია, რომ სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობითი გადასვლა გულისხმობს არა მარტო კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას, არამედ აგრეთვე საზოგადოების წევრთა კულტურულ ზრდას, მათს შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების საბოლოო ლიკვიდაციას.

დოც. შ. ინწკირველი

არცერთი გაცდენა უყურადღებოდ!

თუმცა ხაზგასმით განწყობილება, რაც ახალი სასწავლო წლის დაწყებას თან ახლავს, არ განელებულა, მაგრამ უკვე სექტემბრის მეორესავე კვირაში გვიხდება ერთს, მეტად მტკივნეულ საკითხზე ლაპარაკი: გაცდენები ისევ გვყავს და, ამასთან, არც ისე ცოტა. რომ იტყვიან, სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია. სწორედ ამ ფაქტზე გვინდა ავლაპარაკდეთ.

...სულ 9 დღის მანძილზე სტუდენტმა-ისტორიკოსებმა „შეძლეს" 1500-მდე აკადემიური საათის გაცდენა. ეს არც ისე სახუმარო რიცხვია. წარმოებაში, მაგალითად შრომითი გაცდენის სულ მცირეოდენი გამოვლინებაც კი საქმიანი მსჯელობის საგანი გახდებოდა, დამნაშავეებს პასუხს მოსთხოვდნენ და ჩვენ როგორღა შეგვიძლია ასეთ ამაღელვებელ ფაქტთან შერიგება.

ისტორიის ფაკულტეტზე გაცდენებში ყველაზე „დიდი წვლილი" მეოთხეკურსელებს აქვთ შეტანილი; მათ 576 საათი გააცდინეს. მათ არც მეხუთეკურსელები ჩამორჩებიან. მათს აქტივში 546 საათის გაცდენაა ჩაწერილი. ოდნავ შედავათიან მდგომარეობას აქვს ადგილი III კურსზე. (388 საათი).

შესაძლოა ეს ციფრები გაზრდილიყო, ჯგუფხელებს რომ უფრო სინდისიერად და ობიექტურად აღენუსხათ დასწრების მდგომარეობა: 10 სექტემბერს პედაგოგიკის ლექციაზე V კურსის ჯგუფხელმა გამყრელიძემ ოფიციალურად 100%-იანი დასწრება აღნუსხა, სინამდვილეში კი მის გარდა ჯგუფიდან ლექციას არავინ ესწრებოდა (ჯგუფში 24 სტუდენტია). აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ ზოგჯერ ზოგიერთი ლექტორი პირადად არ ამოწმებს სტუდენტთა დასწრების მდგომარეობას, თუმცა ეს მათ ოფიციალურად აქვთ დავალებული. არ დავმალავთ იმასაც, რომ 10 სექტემბრამდე ზოგიერთი სტუდენტი ისევ განაგრძობს იენისში დაწყებულ არდადეგებს (ქეიშვილი, ჩიტეიშვილი, სახელაშვილი). ალბათ დაგვპირდება ამ ამხანაგებისათვის სპეციალური მოხსენების გაგზავნა იმის შესახებ, რომ ახალი სასწავლო წელი ძალაში შევიდა.

ჩვენ იმედი გვაქვს, ისტორიის ფაკულტეტის დეკანატი, პარტბიურო და ყველა, ვინც საამისოდაა მოწოდებული გაზეთის მორიგი ნომრისათვის გვაცნობებენ მათ მიერ გატარებული ღონისძიებებისა და შედეგების შესახებ.

გ. მახვილაშვილი

ყამირებიდან იწერებიან

Весть с целины

Студенты Тбилисского государственного университета имени Сталина, прибывшие на уборку урожая в Карабалыкский зерносовхоз Кустанайской области (отделение № 8), с первых дней прибытия включились в хозяйственные работы отделения еще до начала хлебоуборочных работ. Товарищи студенты приняли участие в подвозке кормов к местам зимовки скота, подвозке и трамбовке силоса, строительстве производственных помещений; в дальнейшем с полной энергией взялись за подвозку и очистку поступавшего зерна нового урожая.

Необходимо отметить, что студенты поняли поставленную перед ними задачу. Товарищи перевыполняют дневные задания в два-три с половиной раза и зарабатывают от 40 до 70 рублей в день.

Большим уважением и авторитетом среди дирекции, местного населения и студентов пользуется старший группы университетских студентов тов. Крихели М. Н., а также студенты Суликашвили, Гомартели и другие.

ИВАН ЗАЛУКИН,

Секретарь парторганизации 1:1 отделения Карабалыкского зерносовхоза

...ჰების ნაკლებობა რომ იგრძნობა ამ ორ უკანასკნელ ფაკულტეტზე. ეს ყამირობამდე ცნობილი იყო, მაგრამ როცა ისინი მათემატიკოსებს შეუსახლეს და მათზე „თვალყურის დევნება" დაავალეს, მაშინ ბიჭები გაწითლდნენ.

—შენველი ვართ,—მოწყენით თქვა ჯუმბერ ცერცვაძემ. საერთო ენა ამ...

კიდევ უფრო ბეჯითად ვისწავლით

ჩვენთვის, ისევე როგორც ყველა პირველკურსელისათვის ყველაზე ამაღელვებელ მოვლენას წარმოადგენდა გასული სასწავლო წელი.

ბევრი „სიძნელის" გადალახვა დაგვპირდა, მაგრამ ჩვენი ფაკულტეტის პირველკურსელებმა გასულ წელს მთელი ძალა მოახმარეს იმას რომ დაეძლიათ და შეესწავლათ საჭირო და დამწყებთათვის არც თუ ისე ადვილი მასალა. სიამოვნებით აღსანიშნავ შარშანდელ სასწავლო წელს სტუდენტები ლ. რეხილაძე, ა. ალუღოლე და ს. სობოლევსკაია, რომლებმაც ყველა საგანში ფრიადი შეფასება მიიღეს. მათ დიდად არ ჩამორჩებიან ჩვენი კურსის სხვა ამხანაგებიც, რომლებმაც ნიშანი „კარგი" მიიღეს მხოლოდ თითო-ოროლა საგანში. ასეთი სტუდენტების რიცხვი ოცდაათს აღწევს.

მაგრამ ჩვენს შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდნენ უმაღლესი მათემატიკისა და ფიზიკის პრაქტიკულ მეცადინეობებს. იყო შემთხვევები, როცა ამ საგნებს სტუდენტები არასაპატიო მიზეზით აცდენდნენ. ამიტომ, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, ასეთმა ამხანაგებმა არადამაკმაყოფილებელი ნიშნები მიიღეს წამყვან დისციპლინებში. ვფიქრობთ, ისინი ჯეროვან დასკვნას გააკეთებენ ამ მწარე გაკვეთილიდან.

დაიწყო ახალი სასწავლო წელი. პირველმა პრაქტიკულმა მეცადინეობებმა კიდევ ერთხელ დაგვანახეს, რომ ღრმად ათვისებული თეორიული ცოდნა, რომელიც არასდროს არ გაგვიწყდება, საფუძველია შემდგომი მუშაობისა.

ჩვენ შემდგომშიაც ბეჯითად შევისწავლით და დავეუფლებით არჩეულ სპეციალობას, რათა გავხდეთ ახალი, კულტურული ცხოვრების ღირსეული მშენებლები!

ნ. ხაზარაძე,

ფიზიკის ფაკ. III კ. სტუდენტი

კუსტანაი, კუსტანაი...

ძნელია 23 ივლისის დავიწყება. ვისაც კი იმ დღეს თბილისში მოუწია ყოფნა ვაკის მხარისკენ არაჩვეულებრივ ფუსფუსს და ჟრიამულს შეამჩნევდა. ეს იყო რაღაც განსაკუთრებული, ბევრისათვის უჩვეულო დღე. დაუვიწყარია ის წუთებიც, როცა ავტობუსებში მოეწყვნენ ახალგაზრდები და რუსთაველის პროსპექტით ნავთლუღისაკენ გაემართნენ. ბევრის მომსწრეა ძველი თბილისი, ბევრი გაუცილებია მას მშობლიური ღიმილით. ბევრისთვის გზა დაულოცია კიცობისკენ, ხალხის სამსახურისაკენ. ამ დღესაც თბილისი აცილებდა მის სტუდენტ ახალგაზრდობას, რომლებმაც სამშობლოს მოწოდების პასუხად სურვილი გამოთქვეს ზაფხულის არდადეგების პერიოდში ყამირ და ნასვენ მიწებზე წასულიყვნენ სამუშაოდ. ერთი სიტყვით, რომ იტყვიან, იმ დღეებში თბილისელთა პროგრამაში ყამირის მიწები იყო. ვინ რას ამზობდა, ვინ რაზე ზრუნავდა... ზოგი თავის შეილს ზურგჩანთაში ჩაის უდებდა: ჩაი ყველაზე მეტად არისო საჭირო, თბილისის ბაზრები „დაკერიელდა" ხაჭით.

ბიჭებმა საქართველო მოიგონეს...

დღესვე იქნა გამონახული. მექანიკამათემატიკოსები ქიმიკოსებთან პრივეტსიათა სიახლოვეს დაამეგობრა, ხოლო ალმოსავლეთმცოდნეებთან უძველესობისადმი პატივისცემამ (ეს უკანასკნელნი ხომ სამნი იყვნენ მხოლოდ!).

მიქრის ეშელონი. მწკრივად გარბიან ტელეფონის ბოძები, ფოთლები შეიკე...

სტუდენტთა ქალაქში — სანიმუშო წესრიგისათვის!

სტუდენტთა ქალაქი! რა სიყვარულითა და სიამაყით წარმოთქვამს ამ სახელს აქ მცხოვრები ყოველი სტუდენტი, ანდა ისინი, რომელთაც სტუდენტთა ქალაქში უცხოვრიათ, და ეს ბუნებრივიცაა.

კომუნისტური პარტია და მშობლიური მთავრობა მუდამ დიდ მზრუნველობას იჩენდა და იჩენს იმისათვის, რომ ჩვენს ბედნიერ მომავალ თაობას ყველა პირობა ჰქონდეს შექმნილი მეცნიერების მწვერვალების დაუფლებისათვის, რათა იგი კომუნიზმის მშენებელ გმირ საბჭოთა მოქალაქეთა რიგებში ჩადგეს.

სწორედ ამ მზრუნველობის შედეგია, რომ სტუდენტთა ქალაქი წელსაც გულღიად შეხვდა თავის მკვიდრთ, განსაკუთრებით მათ, ვინც პირველად შემოდგა ფეხი მის კორპუსებში.

აქ მცხოვრები სტუდენტებისათვის წელს, სხვა წლებთან შედარებით, უკეთესი პირობებია შექმნილი: მთლიანად იცვალა სახე სტუდენტთა სასადილომ, როგორც გარეგნულად, ისე შინაარსით, უახლოეს ხანში ჩვენს კინოთეატრში დაიდგმება ახალი აპარატურა, რის შედეგადაც საგრძნობლად გაუმჯობესდება ფილმების ჩვენების ხარისხი. სტუდენტთა ბინები უზრუნველყოფილი იქნება ყველა საჭირო ინვენტარითა და მოწყობილობით.

კულტმასობრივი და პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის ერთიანი გეგმის მიხედვით წელს აქ გათვალისწინებულია მრავალი ლექცია-მოხსენების, ფასიანი და უფასო კონცერტების ჩატარება, შეხვედრები ძველ ბოლშევიკებთან, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მუშაკებთან, კინოფილმებისა და მხატვრული ნაწარმოებების საჯარო განხილვები და სხვა ღონისძიებები.

სტუდენტთა ქალაქის კლუბთან ჩამოყალიბდება და იმუშავებს დრამწრე, სიმღერისა და ცეკვის შემსწავლელი წრე, ევროპული და სამეჯლისო ცეკვების შემსწავლელი წრე, ჭადრაკისა და სხვა წრეები, სადაც ჩვენმა სტუდენტობამ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს.

ჩვენს სრულ განკარგულებაშია კეთილმოწყობილი სტადიონი, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, რომლებიც გასულ წელს სრულიად არასაკმაოდ იყო გამოყენებული. წელს კი უთუოდ ბევრი რამის გაკეთება დაგვჭირდება, რათა სტუდენტთა ქალაქში ნამდვილი სპორტული ცხოვრებაც ჩქეფდეს.

სტუდენტთა ქალაქს გააჩნია თავისი საკუთარი რადიოკვანძი, რომელიც ყველაზე უკეთესი საშუალებაა კულტმასობრივი და პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობის გაშლისათვის. გასულ წელს ჩვენ ამ მხრივ მოვიკოჭლებდით. წელს კი ვიმედოვნებთ მისი მუშაობის გაუმჯობესებას.

სტუდენტთა ქალაქში ამ უკანასკნელ წლებში საგრძნობლად შემცირდა შინაგანაწესის დარღვევის ფაქტები. სტუდენტობა კიდევ უფრო დაუახლოვდა ერთმანეთს, რის შედეგადაც მეგობრული ურთიერთგანწყობილება დამკვიდრდა, მაგრამ ჩვენს მშობლიურ ოჯახში, როგორც იტყვიან, ჯერ კიდევ გვყავს ერთეული მაჩინჯები, რომლებიც ჩირქს ცხებენ და ავტორიტეტს უკარგავენ ამხანაგებს, ნაცნობებს, მშობლებს, იმ უმაღლეს სასწავლებლების ხელმძღვანელებს, სადაც ისინი სწავლობენ. საჭიროა ასეთი მაჩინჯების მიმართ ჩვენ თვითონ შევქმნათ საზოგადოებრივი აზრი და არ მივცეთ მათ უფლება არევ-დარევა და უსიამოვნება შეიტანონ ჩვენს ჯანსაღ ოჯახში.

სტუდენტთა ქალაქის სამმართველო და სტუდენტთა საბჭო ენერგიას არ დაიშურებენ იმისათვის, რათა სტუდენტთა ქალაქში მცხოვრებმა სტუდენტებმა შინაარსიანად გაატარონ სტუდენტური ცხოვრება.

აქ დაყენებული საკითხების რეალურად გატარების საქმეში დიდი წვლილის შეტანა შეუძლიათ უმაღლესი სასწავლებლების პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს, რომელთა დახმარებაც გასულ წლებში, უნდა ითქვას, არადამაკმაყოფილებელი იყო. ვიმედოვნებთ, ეს ხარვეზი წელს აღმოფხვრილი იქნება!

მოდით, ამხანაგებო, თავს ნუ შევირცხვენთ, ერთიანი ძალით მივაღწიოთ იმას, რომ სტუდენტთა ქალაქში დამყარდეს სანიმუშო წესრიგი და ნამდვილი ჯანსაღი სტუდენტური ცხოვრება.

შ. რუხვიაშვილი,

ქ. თბილისის სტუდენტთა ქალაქის სტუდსაბჭოს თავმჯდომარე



კარვები გაიშალა...

ნივრით და პილპილით. საზამთრო ჩექმები მოდად იქცა, ჩემოდნები სავსე იყო სხვადასხვა ნივთებით, რომლებიც თადარიგიან ახალგაზრდებს მოემარაგებინათ ამ შორეული მგზავრობისათვის.

აი, მატარებელიც დაიძრა. ქართული სიმღერების გრიალით დავტოვეთ თბილისი.

9 ვაგონი ინტერნაციონალური იყო უნივერსიტეტის მასშტაბით. აქ თავი მოეყარა მექანიკა-მათემატიკოსებს, ქიმიკოსებს და აღმოსავლეთმცოდნეებს. ბიცეს ზევამ, მზესუმზირა რვაჯერ თვალგახელილი შეხვდა და გააცილა დილდეული მზე და აი უკვე, როცა ძილში გვესმოდა ბორბლების ხმაური და გვეჩვენებოდა თითქოს ისინი იძახოდნენ „კუსტანაი, კუსტანაი", ფეხი შევდგით ამ ოლქის ტერიტორიაზე. პეშკოვსკის რაიონია ჩვენი რეზიდენცია. იდგილებიც გარკვეულია: ორი საბჭოთა მეურნეობა—სლავენსკისა და კარაბალიქის. მეცხრე ვაგონი კარაბალიქისაკენ გაეშურა.

(დასასრული იხ. მე-4 გვ.)

წარმატებით აღსავსე დღეები

ხითაროველთა მოძრაობა

სოფლიდ შემცვლელი წარმოიდგენს კამირზე, ბედნიერ რაიონში მოვხვდით. წყალიც კარგია, გზებიც კარგია და, წარმოიდგინეთ, უამრავი ტყეებიცაა, ხოლო ყველა მათი მწვერვალი — არყის ხეების მასივებია!

სად არის სიცხე, სადაა გაბრეცილი ტრამალები.

წარმოდგენა ერთობ შესანიშნავია. ნამდვილ კურორტზე ვართ, — გაიძახიან ბიჭები.

გულთბილი შეხვედრა მოგვეწყო მეურნეობაში. მეგობრული სურვილები, კარგი მუშაობის და ჭამის მადა გვისურვეს ადგილობრივმა მოსახლეებმა.

კარაბალიქის საბჭოთა მეურნეობა ერთ-ერთი პირველი საბჭოთა მეურნეობაა მთელს ოლქში. იგი 1932 წელს დაარსდა. 25 წლის მანძილზე მეურნეობამ 20 000 ჰექტარზე მეტი მიწა აითვისა. კარაბალიქელები ყოველწლიურად აღიდებდნენ სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების ნორმებს. როდესაც ყამირი მიწების ათვისება მთელი ფრონტით დაიწყო, მაშინ კარაბალიქის საბჭოთა მეურნეობა „მეკავშირეთუ" და მის ბაზაზე ორი ახალი საბჭოთა მეურნეობა შეიქმნა: 6 განყოფილებიდან 3 დარჩა.

III განყოფილება, სადაც მათემატიკოსები, ქიმიკოსები და აღმოსავლეთმცოდნეები განაწილდნენ, უმთავრესად მეცხოველეობით არის შემოფარგლული. ამიტომ, ბუნებრივია, ჩვენი ჭაბუკების შრომაც ამ მიმართულებით წავიდა. საჭირო შეიქმნა 59 კაცის ბრიგადებად დაყოფა. ერთნი თივის ზიდვაზე იქნენ გამორიცხული, მეორენი — კალოზე, მესამენი — სილოსის დამზადებაზე.

ერთი სიტყვით, დაიწყო დაძაბული შრომითი დღეები. თავის შრიფთა ბრიგადამ ჩამოსვლის მესამე დღესვე რეკორდი დაამყარა. თუკი ადგილობრივი ნორმის მიხედვით 56 ცენტნერი უნდა მოეზიდათ 8 საათში, ხოლო ასი ცენტნერი რეკორდად ითვლებოდა, ანტონ ხათაროვის ბრიგადამ 183 ცენტნერი მოზიდა. ეს იყო იმდენად შრომითი გამარჯვება, რომ მან უდიდესი გამოხმაურება გამოიწვია მთელს საბჭოთა მეურნეობაში.

სადილო შესვენების პროცესი ახალგაზრდებმა ამ სურათში აღბეჭდეს.

ყამირელთა ერთი ჯგუფი თავიანთი კარვის წინ.

დირექტორი ამხ. გ. ნემჩენკო მეორე დღესვე მოვიდა ფაქტის შესამოწმებლად.

— შეუძლებელია, — გაიძახოდა იგი, მაგრამ როცა სალამოთი კვლავ 183 ცენტნერი მოზიდეს დირექტორმა ეს სიტყვა უკან წაიღო და ბიჭებს გამარჯვება მიულოცა.

რეკორდი რეკორდს მოჰყვა. სილოსის დამამზადებელმა ბრიგადამ — გ. კაკულიას, შ. საბელაშვილის, გ. მოძმანიაშვილისა და გ. ხიდაშელის შემადგენლობით ერთ დღეს გეგმა 400%-ით შეასრულა. მეურნეობის ნორმები დარღვეულია. რეკორდების წვიმაში მოექცა განყოფილება. განყოფილების მმართველმა მიხეილ ლევენცოვმა ხითაროველთა მოძრაობა უწოდა ქართველი ჭაბუკების ასეთ მამაცობას.

მათ მიერ უკვე დამზადებულია 2 000 ცენტნერი თივა, მოტანილია და ჩადებულია 10 000 ცენტნერი სილოსი. რამდენიმე ერთი უნდა დავასახელო მოწინავენი: III კურსის კურსდამთავრებულის მდივანი ვ. პაატაშვილი, ოთ ავთანდილ ლაბაძე, შ. ელიზბარაშვილი და ქიმიკოსი შ. სამელაშვილი. ყველა ერთი აზრითაა გამსჭვალული, ყველას ერთი აქვს მიზანი დაასახელოს — ასახელონ ჩვენი მხარე, მშობლიური უნივერსიტეტი.

კალოზე მხიარულად შემოგვეგება მშვენიერი ყაზახი ქალი, მეორე ბრიგადის ბრიგადირი ვერა დოლგიხი. იგი აღტაცებული იყო კოლეგი ბიჭებით, ყველა ასეთი მამაცები ხართ ქართველები თუ მე მერგო ბედნიერება ასეთ ჭაბუკთა ბიჭებს ემუშავათ ჩემთან.

— ყველა-მეთქი, — ვუპასუხე.

მართლაც ა. ტუტარაშვილს, გოგოთელს, რ. ხატუნაშვილს, ჯ. კერესელიძეს 100 კგ მის ნაცვლად 420 კგ მიანი კალის ტერიტორია გაეწმინდათ.

— დასვენებაზე არ მოდიხართ? — შეეხმიანა პ. მაისურაძე ზ. მღებრიშვილს.

— ფეხურებლად, ცოტა მოვეწყო, — იყო პასუხი.

ჩვენს ბიჭებს, — გვითხრა მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის პარტბიუროს მდივანმა ამხ. მ. კრიხელმა, — შრომაც უყვართ და დასვენებაც.

მართლაც რა კარგია, როცა შრომით დაღლილი კაცი კულტურულად დაისვენებს. საამისო პირობები კი აქ არის. ეჯიბრებიან ერთმანეთს ფეხბურთში, ფრენბურთში, ჭადრაკში, ისმის ბილიარდის ხმაური. მრავლად არის ჟურნალები და გაზეთები. მაგრამ ქართული რომ არ მოდის, ბიჭები ცოტას საყვედურობენ.

კონკურსი სამუშაოზე

II განყოფილებისაკენ მივეშურებით მოტოციკლით, გზა არ ვიცით. არცაა გასაკვირი ტრიალი პურის ყანებში ათასგან მიდის სამანქანო გზა. ყოველ გადასახვევზე ვაჩერებთ მანქანას და ვკითხუ-ლობით მიმართულებას. სოფელში შესვლამდე თვალი მოვკარით მანქანაზე მზით გარუჯულ ქართველ ბიჭებს:

— იურისტებია, — წამოგვეცდა ერთად მე და აკაკი ზოლოიდელს. გზიდან გადავუხვიეთ და პირდაპირ ორმოსაკენ ავიღეთ მიმართულება, სადაც სტუდენტები მანქანიდან თივას ცლიდნენ ორმოში. უზარმაზარია ორმოები. მათი სიღრმე 70 მეტრია, სიგანე კი 8 მეტრი. 6 ასეთი ორმო ამოიღეს იურისტებმა.

— ყოველწლიურად, — გვეუბნება განყოფილების მმართველი, შეახნის ქალარა ყაზახი, წვრილი თვალებითა და მოშვებული გრძელი წვერით, აბუ დემერბაევი, — საკვები პრობლემა იყო ჩვენთან. წელს კი თქვენი ახალგაზრდების წყალობით ჩვენ შეგვიძლია გამოვკვებოთ დამატებით 500 სული საქონელი.

— ამა, ჩქარა თივა, — ისმოდა ქვემოდან ვ. ...ს ხმა.

— არის, — ჩასძახოდა ზევიდან ს. მიროტაძე და ასე ეწყობოდა ერთი-მეორეს თივა, რომელიც რამდენიმე ხნის შემდეგ მთელ ზვინად აღიმართა. ბრიგადა, რომელსაც დოც. ბ. ხარაზიშვილი ხელმძღვანელობს, ყოველდღიურად 200—250%-ით ასრულებს დავალებას. ხოლო ა. ტყემალაძემ, ჯ. ჯიქიამ, მ. ხვინგიამ, რ. დიდიძემ და კიდევ ბევრმა სხვამ 300% ჩვეულებრივ მოვლენად აქციეს.

— კონკურსი სამუშაოზე! — ასე შენიშნა ერთმა იურისტმა.

მართლაც, ბიჭები სიძნელეებს არ ერიდებიან, გამოჩნდება თუ არა სამუშაო, როგორიც არ უნდა იყოს იგი, ყველა სიამოვნებით თანხმდება მუშაობაზე. მაგრამ არის ხოლმე, როცა სამუშაო შემოაკლდებათ. მაშინ ბიჭები ერთმანეთს ეცილებიან არა მე წავალ და არა მე. ბოლოს ასე რიგდებიან: ერთი ცელა იმუშავებს, თავისუფლებს და მეორე წავა.

ქართველი და ყაზახი ხალხების მეგობრობის სიმბოლოდ დარჩება აქ აშენებული აბანო. ადგილობრივ მოსახლეობას არ ჰქონდა იგი. დოც. ბ. ხარაზიშვილმა დააყენა საკითხი მეურნეობის დირექციაში. მიიღო საჭირო სამშენებლო მასალა და ერთ კვირაში სოფელში აბანო მზად იყო.

შრომაში გადის დღეები. უნივერსიტეტის სტუდენტები მთელი პასუხისმგებლობით ეკიდებიან დაკისრებულ მოვალეობას. იციან, რომ მათ გმირობას, მამაცობას, პატიოსნებას და გამარჯვებებს შესცქერის ქართველი ხალხი, მეცნიერების დიდი ტაძარი, რომელთა სახელით ისინი აქ არიან მოსული. პირველი დღეები საუცხოოა. ტემპები ძლიერდება.

გასახელებთ, მშობლიურო უნივერსიტეტო! — ასეთია ჩვენი გადაწყვეტილება.

ჰ. ზურაბიძე,
სპეციალური კორესპონდენტი.
კუსტანაის ოლქი, კარაბალიქის საბჭოთა მეურნეობა.

წელს ბევრი საინტერესო სამუშაო მოგველის

დაიწყო ახალი სასწავლო წელი, რომელიც მეტად საპასუხისმგებლო ამოცანებს სახავს ჩვენს წინაშე. რა გვაქვს განზრახული გავაკეთოთ ამ ახალი სასწავლო წლის განმავლობაში?

უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ვემზადებით დიადი თარიღის — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავის აღსანიშნავად. ნოემბერში მოეწყობა ამ თარიღისადმი მიძღვნილი სტუდენტთა XX სამეცნიერო კონფერენცია. ამავე თარიღისათვის გამოვა უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების VIII ტომი.

უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭო სექტემბრის პირველსავე რიცხვებში განიხილავს და დაამტკიცებს სტუდენტთა საფაკულტეტო სამეცნიერო საბჭოების წლიურ სამუშაო გეგმებს. ამავე თვეში ბიოლოგიისა და გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტების სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებები მოაწყობენ გაერთიანებულ სამეცნიერო სესიას, მიძღვნილს დიდი შვედი ბუნებისმეტყველის კარლ ლინეს დაბადებიდან 250 წლისთავისადმი.

ახალ სასწავლო წელს სამეცნიერო საზოგადოების წევრი სტუდენტები მივლინებულ იქნებიან ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების მიერ მოწყობილ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებზე მონაწილეობის მისაღებად. ჩვენც მოველით სტუმრებს ჩვენს კონფერენციებზე. გაგრძელდება საქმიანი კავშირის დამყარება (მიმოწერა, ლიტერატურის გაცვლა) სხვა კავშირისა და საზღვარგარეთის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებებთან. ამ მხრივ აღსანიშნავია ბიოლოგიის და გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტების სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოების მუშაობა. ამ საბჭოებს დამყარებული აქვთ საქმიანი კავშირი ჩვენი ქვეყნის ბევრ უმაღლეს სასწავლებელთან; გარდა ამისა, პირველი იწყებს მიმოწერას პრაღის (ჩეხოსლოვაკია) კარლოსის უნივერსიტეტის, ხოლო მეორე პოსტდამის (გერმანია) უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებებთან.

სექტემბრის პირველ ნახევარში ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. თამაზ სანიკიძე დაამთავრებს უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების ისტორიის შედგენას, რომელიც განზრახულია დაიბეჭდოს უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების IX ტომში.

ბიოლოგიის ფაკულტეტზე დასასრულს უახლოვდება სტუდენტთა საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომზე გამოცხადებული კონკურსის ვადა; ვნახოთ, რას გვიჩვენებს შედეგები...

განზრახულია სასწავლო წლის ბოლოს მოეწყოს გამსვლელი სესია ბათუმის ან ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტებში. მოეწყობა ექსკურსია ბაქოსა და ერევანში. დეკემბრის ბოლომდე უნდა მომზადდეს გამოსაცემად სტუდენტთა სამეცნიერო შრომების IX ტომი. ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭო მოაწყობს სტუდენტთა სამეცნიერო სესიას, მიძღვნილს ილია ჭავჭავაძის დაბადების 120 წლისთავისადმი.

უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს განზრახული აქვს სტუდენტთა XX სამეცნიერო კონფერენციის მსვლელობის დროს, რომელიც მიეძღვნება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავს, მოაწყოს სხვადასხვა სამეცნიერო წრეების კედლის გაზეთების გამოფენა.

1958 წელს ჩვენს რესპუბლიკასთან ერთად მთელი ჩვენი ქვეყანა საზეიმოდ აღნიშნავს თბილისის დაარსების 1500 წლისთავს. ამასთან დაკავშირებით, სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებას განზრახული აქვს სტუდენტთა ტრადიციული XXI სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც ჩატარდება მარტის ბოლო რიცხვებში, მიუძღვნას ამ მეტად მნიშვნელოვან თარიღს.

რ. ჟორდანია,
უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარე.

წიგნის თარო

მცენარეთა ანატომია

უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა დოცენტების ქ. ცხაკაიას და ე. მირიანაშვილის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო „მცენარეთა ანატომია" (პრაქტიკული კურსი).

წიგნი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა სახელმძღვანელოდ. იგი დახმარებას გაუწევს აგრეთვე ამ დარგის სპეციალისტებს, მასწავლებლებს და სხვ.

წიგნში განხილულია მცენარეთა ანატომიის ისეთი ძირითადი საკითხები, როგორიცაა მცენარეული უჯრედი, უჯრედების ცხოველმოქმედების პროდუქტები, სხვადასხვა ნივთიერების ერთდროული თანაპოვნიერება უჯრედში, ქსოვილები — მექანიკური და გამტარი, ვეგეტაციურ ორგანოთა აგებულება, რეპროდუქციული ორგანოების ანატომიური აგებულება; ყვავილის ანატომიური აგებულება, ნაყოფისა და თესლის ანატომიური აგებულება.

სახელმძღვანელოში მცენარეთა ორგანოების განხილვისას, როგორც მის წინასიტყვაობაშია აღნიშნული, კომაროვისა და როსტოვცევის კლასიკურ სახელმძღვანელოებში განხილული ობიექტების გარდა, შეტანილია აგრეთვე ახალი ობიექტებიც, უმთავრესად ჩვენი ფლორის წარმომადგენლები, რომელთა ანატომია სხვაგან ნაკლებადაა ცნობილი.

ეს წიგნი წარმოადგენს აღნიშნულ საგანში სახელმძღვანელოს შედგენის პირველ ცდას ქართულ ენაზე.

წიგნი, რომელშიც შეტანილია მრავალი ფერადი და ჩვეულებრივი ილუსტრაცია, ჩასმულია მაგარ ყდაში, შეიცავს 482 გვერდს და ღირს 19 მან. და 80 კაპ.

რუდაქი

ამ სახელწოდებით ჩვენი უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა კრებული, მიძღვნილი ტაჯიკი ხალხის დიდი პოეტის რუდაქის დაბადებიდან 1 100 წლისთავისადმი.

კრებულში განხილულია: რუდაქის ეპოქა (ვ. ფუთურიძე), რუდაქის ცხოვრება და შემოქმედება (დ. კობიძე), რუდაქის პოეტიკა (ალ. გვახარია), რუდაქის ენის ზოგიერთი თავისებურება (ლ. თუშიშვილი) და რუდაქი და ომარ ხაიამი (ც. ფადავა).

კრებულში, გარდა ამისა, წარმოდგენილია რუდაქის ლექსთა თარგმანები, შესრულებული მ. თოდუას მიერ.

კრებულის რედაქტორია პროფ. დ. კობიძე. წიგნი ჩასმულია მაგარ ყდაში, შეიცავს 171 გვერდს და ღირს 8 მანეთი.

რედაქტორი ირ. ვეშაპიძე

რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა № 1. ტელეფონი 2-28-31.

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა-ლითოგრაფია. უნივერსიტეტის ქ. № 1. ტირაჟი 2 000. უე 05110.

ბიბლიოთეკა